# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 10

„ 30 " იანვარი 2026 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ. 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით, მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2026 წლის 22 იანვრის №26.55.68 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ირაკლი აბაშიძის ქუჩა №29-ის მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.022) პირდაპირი განკარგვის წესით მარინე ჯიქიძისთვის (პ/ნ. 01025010458) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ზურაბ აბაშიძე